ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1795152

ნომერი: AR1288596

თარიღი : 23.02.2015

გაცემის თარიღი : 20.03.2015

გაცნობის თარიღი : 20.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 14ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იროდიონ გუჯაბიძე პ/ნ 01031004413
- თბილისი ო.ონიაშვილის ქ. N 59

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:
- შეტყობინების ველში ატვირთული გეგმებიდან ირკვევა, რომ წარმოდგენილი საინვენტარიზაციო გეგმა არ შესააბამება გემებს, გამომდინარე აქედან წარმოსადგენია კონკრეტულად იმ ფართის საჯარო რეესტრში დაცული ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან აზომვითი ნახაზი (საინვენტარიზაციო გეგმა, საჯარო რეესტრის შტამპით), სადაც დაფიქსირებული იქნება სართული, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში, ხოლო მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტეთ ვისი ფართის ფასადზე ხდება სარეკლამო აბრის განთავსება.
– წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების თანახმად, იჯარის საგანს წარმოადგენს ალ. ყაზბეგის გამზ. 14ბ. პირველი სართული, ხოლო სარეკლამო აბრის განთავსება ხდება მეორე სართულის ფართის ფასადზე, შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ იმ ფართის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლის ფასადზეც ხორციელდება აბრის განთავსება მათი ფართის ამონაწერის თანდართვით. დოკუმენტი აიტვირთოს „დამატებით დოკუმენტაციის“ –ველში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.